3-ს აპრილს. № 7. 1885 წელსა.

# მწყემსი

## ოფიციალური ნაწილი.

### განჩინებანი უწმიდესი სინოდისა.

---

### განჩინება მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, რუსეთის თვით მპყრობელისა, უწმიდესი და უმართებულესი სინოდისაგან.

Განჩინებისა მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს წინადადება უ. სინოდის ობერ-პროკურორისა, 11 იანვრიდამ 1885 წელსა № 388, შემდეგი შინაარსისა: სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა, 20 დეკემბრიდამ 1884 წლისა, განაცხადა, რომ მისდამი რწმუნებულს სამინისტროში შემოდიან შუამავლობანი, რათა სახელმწიფო მამულებიდამ მიეცესთ ხე-ტყე აღსაშენებლად საეკკლესიო-სამრევლო სკოლებისა, რომელნიც იმართებიან სოფლებში საფუძველსა ზედა წესდებათა, უმაღლესად დამტკიცებულთა 13 ივნის, 1884 წელსა, ვსთვლი რა სრულიად საჭიროდ ამ ფრიად და ახლად აღორძინებული დაწესებულების შეწევნას და ვიღებ რა მხედველობაში: 1) რომ მოხსენებულთა წესდებათაგან არ არის განსაზღვრულ, სახელდობრ რა საშუალებაებით და რა რამდენათ შეუძლიათ საეკკლესიო სამრევლო სკოლებს ისარგებლონ ხაზინისაგან და 2) რომ მე-292 ტყის წესდების ძალით სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მინიჭებული აქვს უფლება სახელმწიფო მამულებიდამ ხე-ტყის მიცემისა სასოფლო სასწავლებლებისათვის დაწესებულ მაზანდაზე ნახევარ ფასად ნაკლებ, სახელმწიფო ქონებათა მინისტერმა, სახელმწიფო კანტროლელთან შეთანხმების შემდეგ, გამოითხოვა 3 დეკემბრიდამ 1884 წელსა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის უმაღლესი ნება რთვა გაავრცელოს კანონის აღნიშნული მუხლის ძალა სოფლებში ახლად აღსაშენებელ საეკკლესიო სამრევლო სკოლებზედაც იმ პირობით, რომ ყოველივე შუამდგომლობანი შესახებ ხე-ტყის გაცემისა ამა სკოლათათვის აღძრულ იყვნენ ადგილობით ეპარქიის მთავრობისაგან. ამის გამო სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ითხოვს მოხდეს განკარგულება, რომ ყოველივე შუამავლობანი სასოფლო საეკკლესიო-სამრევლო სკოლებისადმი ხე-ტყის მიცემაზე გაიგზავნებოდენ ადგილობით ეპარქიების მთავრობისაგან სახელმწიფო ქონებათა ადგილობით დაწესებულებათა შინა, რათა უკანასკნელთა საჭირო ცნობები წარუდგინონ მინისტრს გარდასაწყვეტად, შესაძლოა თუ არა ნათხოვნის აღსრულება. ბრძანეს: სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ზემო აღნიშნული წინადადების შინაარსი ეცნობოთ ყველა ეპარქიების ყოვლად სამღვდელოთა დაბეჭდილი განჩინებებით იმათი მხრით ჯეროვანის განკარგულებისათვის. თებერვლის 14 დღესა, 1885 წელსა.

ნამდვილ განჩინებაზე ხელს აწერენ: ობერ-სეკრეტარი ა. პოლონსკი და სეკრეტარი უშაკოვი.

სახელმწიფო მამულებიდგან საეკკლესიო სამრევლო სკოლების აღსაშენებლად ხე-ტყის მიცემაზე.

---

### 21-28 ათასი წლის დღესასწაულობაზე გარდაცვალებიდამ სლავიანთა განმანათლებელის წმიდისა მეთოდისა.

Ოუკაზისა მებრ მისის იმპერატორებითი დიდებულებისა, უწმიდეს და უმართებულეს სინოდს, მოსმენის შემდეგ, ჰქონდათ სჯა მომავალ დღესასწაულობაზე სლავიანთა განმანათლებელის წმიდისა მეთოდისა, მორავის არქიეპისკოპოზისა განსვენებიდამ ათასი წლის, რომელიც (ათასი წელი) შესრულდება ამა წლის ექვს აპრილს. Დაწვლილილებით გამოკვლევის შემდეგ ბრძანეს: ვრაცხთ რა მიუცილებლად სლავიანთა პირველთ მოძღვართა წმიდისა მეთოდისა და კირილესა სამუდამოდ აღსაბეჭვდად ყველა მართლ-მადიდებელი რუსეთის ეკკლესიის შვილთა კრძალულს ხსოვნაში, უწმიდესი სინოდი განაწესებს ამისათვის შემდეგს: 1) ლოცვებში: ლიტიაზე, სახარების შემდეგ, ცისკარზე კანონების წინ, განტევე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზე, აგრეთვე ყოველს ლოცვაში, რომელშიაც მოიხსენებიან სახელები წმიდათა მსოფლიოთა და რუსეთის ეკკლესიისა, მოხსენებულ იქმნენ შემდეგ წმიდის ნიკოლოზის, მირლიკიის არქიეპისკოპოზის, საკვირველთ მოქმედისა, სახელები: წმიდათა შორის მამათა ჩვენთა მეთოდის და კირილესა, სლავიანთ მოძღვართა; 2) დღე ნეტარის განსვენებისა წმ. მეთოდისა, მორავის არქიეპისკოპოზისა, შეტანილ იქმნეს თვეთა მეტყველებაში ექვსი აპრილის რიცხვში; 3) მეთოდის და კირილეს მოხსენების დღესასწაულობა, რომელიც ხვდება თერთმეტს მაისს, შერაცხილ იქმნეს საშუალო საეკკლესიო დღესასწაულად და ამისათვის დასაბეჭდავ თვეთა მეტყველებათა შინა აღნიშნულ იქმნეს, როგორც მიღებულია, ჯვრითა ნახევარ წრეში; 4) 14 ფებერვალს, ნეტარი განსვენების დღეს ღირსისა კირილესა სლავენის მოძღვრისა, და ექვს აპრილს ამა წლისას, წმიდისა მორავიისა არქიეპისკოპოზის მეთოდის გარდაცვალებისა აღსრულებულ იქმნას პოლიელეი, და 5) ნება ეძლევათ ყველგან ამა წლის ექვს აპრილს ჯვრით სიარულის და მთელს დღეს ზარების რეკისა. ყოველთა საცნობლად და ყოველგან აღსასრულებლად გამოცხადებულ იქმნას ესე სასულიერო უწყებისა მებრ „საეკკლესიო მახარებელში" დაბეჭდვით, ეცნობოს რა ესე ამ ჟურნალის რედაქციას ამ განჩინების გამოწერილობის გარდაცემით.

---

## იმერეთის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების რჩევის ჟურნალი 14 თებერვლიდამ 1885 წლისა.

სხდომაზედ დაესწრენ თავ-მჯდომარე რჩევისა, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნიკოლოზ გ. ტატიევი; წევრნი: ბლაღოჩინნი დ. ღამბაშიძე და ი. ჭეიშვილი და სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ა. ი. ნატროევი: მოისმინეს:

რჩევის თავ-მჯდომარის ნიკოლოზ გ. ტატიევის მოხსენება შემდეგი შინაარსისა: „იმერეთის ეპარხია მეცნიერულის და ნივთიერის მხრით სხვა რუსეთის ეპარქიებთან შედარებით განსაკუთრებულს პირობებში ჩავარდნილი; მასზე ვერ ვიტყვით, რომ მას, თავის სრული წადილისამებრ შეეძლოს იმდენი საშუალებებით სარგებლობა სკოლების ასაშენებლად და მათში სწავლის საქმის წასაყვანად ახლა, ანუ შემდეგში, რამდენიც ხელთ-უპყრია რუსეთის ზოგიერთ უღარიბეს ეპარქიას. ჩვენდა საუბედუროდ მთელს იმერეთის ვრცელ ეპარქიაში არ არის სასულიერო სემინარია და შემდეგშიაც საეჭვოა, რომ იქნეს იგი, როგორც ეს ყველას შეტყობილი აქვს; გარდა ამისა არ არის არც სხვა გვარი სასწავლებლები, რომლებიც სამრევლო სკოლებისათვის სპეციალურად ამზადებდნენ მასწავლებლებს; მაშასადამე ერთად ერთ ბურჯს ამ დიდი საქმის—სახალხო განათლების წასაყვანად შეადგენს ორი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელი: ერთი ქუთაისში და მეორე სამეგრელოში. ადვილი წარმოსადგენია, რომ თავდაპირველად ჩვენს სამრევლო სკოლებში მასწავლებლებად იქმნებიან ამ ოთხ-კლასიან სასწავლებლებში კურს შესრულებულნი პირნი. მართლაც, დიდი დრო არ გასულა, რაც სამრევლო სკოლების წესდებანი გამოიცენ და ამ ცოტა ხანში ბევრი თხოვნები შევიდა ყოვლად სამღვდელოსთან. ეს თხოვნები უმეტესად შეტანილი არიან ამ სასწავლებლებში კურს შესრულებულთაგან, რომელნიც თავიანთ თხოვნებში აცხადებენ სურვილს სამრევლო სკოლების გახსნისას და მასთან ითხოვენ ყოვლად სამღვდელოსაგან ლოცვა კურთხევას და დამტკიცებას მასწავლებლობის თანამდებობაზე. ამ მთხოვნელთ შორის ბევრნი არიან, რომელნიც ღირსეულად შეასრულებენ მასწავლებლობის თანამდებობას სამრევლო სკოლებში, მაგრამ მათში ბევრნი ისეთებიც არიან, რომელნიც ამ საქმეს ჰკიდებენ ხელს სხვა საქმის უმექონელობისა გამო და უფრო იმიტომ, რომ, რამოდენიმე წლის სამსახურისა შემდეგ, მღვდლობის ღირსი გახდენ, რასაც ასე ელტვიან იმერლები. ეს ასე არის და ასეც უნდა იყოს, რადგან ყოველი საქმის დაწყებისათვის თავდა პირველად საჭიროა ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება. სამრევლო სკოლების საქმე მოითხოვს, რომ დასაწყისშივე მივაქციოთ მას ჯეროვანი ყურადღება, რომ ნაცვლად ჯეროვნად მომზადებული და გულით მოსურნე პირებისა არ მივიღოთ სკოლების გამგედ ისეთი პირნი, რომელნიც დღეს ჰკიდებენ ხელს სკოლის საქმეს, მაგრამ ხვალ კი სტოვებენ თავიანთ თანამდებობას და ხელს ჰკიდებენ რამე გამოსარჩენ საქმეს. სკოლის საქმე სახუმრო არ არის. ცუდი მასწავლებლების ხელში სამრევლო სკოლებში სწავლის საქმე ცუდად წავა და ამ სახით სამრევლო სკოლები საზოგადოების თვალში მთლად დაჰკარგვენ თავიანთ დიდ მნიშვნელობას და სასაცილოდ გახდებიან. უამისო-

თაც უწინდელ სამრევლო სკოლებზე საზოგადოებას ცუდი აზრი ჰქონდა შედგენილი, თუმც ეს აზრი შეცთომილი იყო, მაგრამ ბევრგან, მართლაც, სამრევლო სკოლები მარტო ქაღალდებზე არსებობდნენ და ზოგან სამრევლო სკოლების საქმე წერა-კითხვის არ-მცოდნე მასწავლებლების ხელში ცუდათ წავიდა. იმერლები ამ ბოლო დროს ძალიან ესწრაფვებიან განათლებას და ამიტომ სამრევლო სკოლები დიდ დახმარებას აღმოუჩენენ ხალხს, თუ თავდა პირველად ამ საქმეს საფუძვლიანად და ხერხიანად ხელს მოვკიდებთ".

ამ მოხსენების შემდეგ თვითეულმა წევრმა წარმოსთქვა თავის მოსაზრება სამრევლო სკოლების დაარსების და მათში უკეთესად სწავლის საქმის წაყვანის შესახებ. შემდეგცოტა ხნის მსჯელობისა თავს მჯდომარემ წაიკითხა კანონები სამრევლო სკოლების უმაღლესად დამტკიცებული წესდებანი; ამ წესდების კითხვის დროს აღნიშნულ იქმნენ კითხვები, რომლების განხილვის შემდეგ

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

ა) შეიკრიბოს ნამდვილი ცნობები ბლაღოჩინთ და სამრევლო სკოლების ზედამხედველთ მიერ, თუ რა საშუალება აქვსთ ეპარქიის სამღვდელოებას და მრევლთ იმ სკოლების შესანახავად, რომელნიც უკვე გახსნილ არიან სამრევლოებში, ანუ რომელნიც შემდეგში გაიხსნებიან; მიენდოსთ ბლაღოჩინებს და სკოლების გამგეთ, რომ მათ თავისი მხრით შეაგონონ სამღვდელოებას და მრევლთ, რომ ამ უკანასკნელებმა ცოტა რამე სასყიდელი გადიხადონ ამ სკოლებში თავიანთი შვილების სასწავლებლად ისე, რომ მათ, თავ-დაუმძიმებლად გადასახადებით, აქტიური (საქმით) შემწეობა აღმოუჩინონ ეკკლესიას და მთავრობას მათი შვილების განათლების საქმეში; ბ) ეთხოვოს ბლაღოჩინებს და სკოლების გამგეთ, რომ მათ თავიანთი მოსაზრებითურთ წარმოადგინონ რჩევაში სასწავლო საგნების პროგრამები იმ სამრევლო სკოლებისა, რომელნიც უკვე გახსნილნი არიან; ამ ცნობების შეკრების შემდეგ რჩევა შეუდგება ეპარქიის ყველა სამრევლო სკოლების საზოგადო პროგრამის შედგენას; ამ პროგრამის შედგენის დროს რჩევა მიიღებს სახეში ადგილობრივ პირობაებს და აგრეთვე მიაქცევს ყურადღებას ზოგიერთი საგნების სწავლების საქმეს სხვა-და-სხვა სამრევლო სკოლებში; გ) რომ სკოლების გამგეთ კანონიერად შეასრულონ სამრევლო სკოლების წესდების 124 მუხლი; ესე იგი რომ მათ კანონიერად შეადგინონ ამ სკოლების ანგარიშები და წარმოადგინონ რჩევაში, რომ მერე რჩევამ ამ ანგარიშების შემწეობით უფრო ვრცელად და საფუძვლიანად შეადგინოს წლიური ანგარიში მთელი ეპარქიის სამრევლო სკოლებზე, საჭიროა იქმნეს შემუშავებული ერთნაირი ფორმა; როცა ეს ფორმა სამასწავლებლო რჩევისაგან განიხილება და როცა ის ყოვლად სამღვდელოსაგან მოწონებულ და დამტკიცებულ იქმნება, შემდეგ გამოცხადდეს გაზეთ „მწყემსში" საეკკლესიო სკოლების ზედამხედვლების საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ; დ) შემდეგი კრებისათვის რჩევის წევრებმა თავიანთი მოსაზრებანი უნდა წარმოადგინონ იმ სახელმძღვანელოებზე და სხვა სასწავლო საგნებზე, რომელნიც დღეს მოიპოვებიან ქართულს ენაზე, თუ რამდენად შესაძლოა ამ სახელმძღვანელოების გამოყენება სამრევლო სკოლებში; ამასთანავე უ. ნატროევს მიენდობა შედგენა ქართულს ენაზე პირველ დაწყებითი სწავლის მეთოდიკისა პირველ წლის პირველ ექვს თვეში; ე) უ. ნატროევსვე მიენდობა რჩევის სხდომების ჟურნალების და მთელი რჩევის საქმის წარმოება; ვ) ბლაღოჩინებმა და ზედამხედვლებმა უნდა ადრითვე აცნობონ მრევლთა, რომ ყოვლად სამღვდელო არ მისცემს სამრევლო სკოლების გახსნის ნებას იქ, სადაც უკვე არსებობენ სამინისტრო სახალხო სკოლები, თუ ეს უკანასკნელნი რომელიმე მიზეზისა გამო არ დაიხურებიან. რეზოლიუცია მის ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა: „იქნეს აღსრულებული და საყურადღებოდ და აღსასრულებლად ვისგანაც ჯერ არს გარდაიცეს დასაბეჭდათ სასულიერო გაზეთს „მწყემსში".

**25-ი ფებერვლიდამ 1885 წლისა № 369, სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოებაზე სამსახურისათვის სასულიერო უწყებისამებრ.**

უქაზისა მებრ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს, წარმოდგინებანი ეპარქიის არქიერთა დაჯილდოებასაზედა მათი უწყების სასულიერო პირთა დამსახურებისათვის სასულიერო უწყებისამებრ. ბრძანეს: საფუძველსა ზედა მოხდართა მსჯელობათა, უწმიდესი და უმართებულესი სინოდი განაწესებს: მოხსენებულნი ამასთანავე შთადებულ სიასა შინა სასულიერო პირნი ღირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ მოხსენებულთა ამა სიასა შინა ჯილდოთა; რაიცა, გამოსაცხადებლად ეპარქიის მღვდელმთავრებთათვის, დაიბეჭდოს ამასთანავე შთადებილი სია ამისთანა პირთა ,,საეკლესიო უწყების'' ჟურნალსა შინა.

**ს**ია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც სამსახურისათვის სასულიერო უწყებისამებრ, დაჯილდოებულ არიან უწმიდესი სინოდისაგან პასექის დღესა, 1885 წელსა. საქართველოს საექსარხოსოს.

ა) **მ**კერდის ჯვრით, უწმიდესი სინოდისაგან გამოცემულით—საქართველოს ეპარქიის ქალაქის ერივანის პოკროვსკის სობოროის, მღვდელი ისააკ იორდანოვი; საქართველოს, ეპარქიის გორის მაზრის, სოფლის შინდისის ეკკლესიის მღვდელი სიმონ უიფშიძე; გორის მაზრის, დისევის სოფლის ეკკლესიის მღვდელი გაბრიელ ოქროპირიძე; დუშეთის მაზრის, ჩოთორთის სოფლის ეკკლესიის მღვდელი თევოდორე იოსებაძე; იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის მაზრის, სოფლის კულაშის ეკკლესიის მღვდელი სპირიდონ კანდელაკი; გურიის ეპარქიის, ოზურგეთის მაზრის, ერკეთის მთავარ-ანგელოზთ ეკკლესიის მღვდელი სიმონ მგალობლიშვილი; ბ) კამილავკითა—საქართველოს ეპარქიის, აღმასრულებელი თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობისა, დეკანოზი პავლე ჩუდეცკი; სიღნაღის მაზრის, ბოდბისხევის ეკკლესიის მღვდელი ნიკოლოზ მაღალდაძე; ვლადიკავკაზის ოლქისა კადგარინის სოფლის ეკკლესიის მღვდელი გიორგი სიკოევი; მისვე ოლქის აღგირის ამაღლების ეკკლესიის მღვდელი გიორგი კარაევი; ეკონომი ვლადიკავკაზის საარქიელო სასახლისა მღვდელი ალექსანდრე ცალიკოვი; ბაქოს ქალაქის, ნიკოლაევის სობოროს მღვდელი გიორგი ბლაღოვესტნიკოვი; გორის მაზრის, სოფლის ცხინვალის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია გაბულიევი; თფილისის მაზრის, სოფლის ხაშმის ეკკლესიის მღვდელი აბრამ ნახუცაროვ; გორის მაზრის, სოფლის ქარელის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი მცხვედაძე; იმერეთის ეპარქიისა, სენაკის მაზრის, სოფლის გორდის ეკკლესიის, მღვდელი იოანნე კუხალაშვილი; სენაკის მაზრის, სოფლის უშაბათის ეკკლესიის, მღვდელი იოანნე ბოკუჩავა; ქუთაისის მაზრის, სოფლის გუგუნავეთის ეკკლესიის მღვდელი მიტროფან მიქაძე; აფხაზეთის ეპარქიის, სოფლის საბერიას ეკკლესიის მღვდელი დავით მასხულია; იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის ქალაქის სატუსაღოს წმიდა იოანე ნათლის-მცემლის ეკკლესიის მღვდელი ოქროპირ კაჭახიძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის ზემო-მესხეთის ეკკლესიის მღვდელი ოქროპირ კანდელაკი; გურიის ეპარქიის, ოზურგეთის მაზრის, ციხსკის ეკკლესიის მღვდელი იასე ცინცაძე; გ) სკუფიით—საქართველოს ეპარქიის, გორის მაზრის, სკრის სოფლის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი ოქროპირიძე; სიღნაღის მაზრის, ბოდბი სოფლის ეკკლესიის მღვდელი იოანე ზალარდყოვი; ქ. თფილისის, კარის ეკკლესიის მღვდელი, ალექსანდრე მოლოდინოვი; გორის მაზრის, ძეგვის სოფლის ეკკლესიის მღვდელი ზაქარია იაევი; თელავის მაზრის, პშაველის სოფლის ეკკლესიის მღვდელი ლონგინ ზერიევი; თელავის მაზრის, სოფლის ნაფარეულის ეკკლესიის მღვდელი სიმონ თოფოლაშვილი, იმერეთის ეპარქიის;—სენაკის მაზრის, სოფლის ნაქალაქევის ეკკლესიის მღვდელი გიორგი შალაბერიძე; ზუგდიდის მაზრის, სოფლის ქვათახტის ეკკლესიის მღვდელი დიმიტრი ფარულავა; ქუთაისის მაზრის, დაბის ხონის ეკკლესიის მღვდელი იორდან ლომთაძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის ივანდიდის ეკკლესიის მღვდელი იასე ზახტაძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის უონეთის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი კვიცარიძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის გვიმტიბის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ რატიანი; სენაკის მაზრის, სოფლის აბაშის ეკკლესიის მღვდელი იოან კოიავა; ქუთაისის მაზრის, სოფლის გორის ეკკლესიის მღვდელი ბესარიონ ნადირაძე; რაჭის მაზრის, სოფლის ტოლის ეკკლესიის მღვდელი სამსონ ლანდია; შორაპნის მაზრის, შერეთისის სოფლის ეკკლესიის მღვდელი ალექსი კვიჟინაძე; ქუთაისის მაზრის, სოფლის ახალ განირის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი ოდილავაძე; რაჭის მაზრის, სოფლის ჭედიაღელის ეკკლესიის, მღვდელი სიმონ მიქიევი; ზუგდიდის მაზრის, სოფლის ფუკის ეკკლესიის მღვდელი თვალთვაძე; სენაკის მაზრის, სოფლის სუჩხის ეკკლესიის მღვდელი ეგნატი მოგელაძე; ზუგდიდის მაზრის, სოფლის ხორშის ეკკლესიის მღვდელი საბა გვასალავა; გურიის ეპარქიის: ოზურგეთის მაზრის, თავადი ივლიანე ერისთავის სასახლის ღვთის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი გრიგორი შაქარიშვილი; ოზურგეთის მაზრის, მაიდნის ღვის-მშობლის ეკკლესიის მღვდელი გაბ-

რიელ ხუტულაიშვილი და ოზურგეთის მაზრის, ზემო ჩიბათის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი თომა ჯორბენაძე; დ) კურთხევით უწმიდესი სინოდისაგან გრამოტების მიუცემლად;—ქართლის ეფარქიის, გორის მაზრის, სოფლის საქაშეთის ეკლესიის მღვდელი შიო ტიტვინიძე; თბილისის მაზრის, სოფლის მარტყოფის ეკლესიის მღვდელი პეტრე კპიტოვი; ხიდნალის მაზრის, სოფლის ზემო მაჩხანის ეკლესიის მღვდელი ბასილი მენტეშევი; დუშეთის მაზრის, სოფლის მღადიჯვრის ეკლესიის მღვდელი აბრაამ ზარნოვი; დუშეთის მაზრის, სოფლის ბოკვაცის ეკლესიის მღვდელი გიორგი ასათიანი; გორის მაზრის, სოფლის სვანეთის ეკლესიის მღვდელი ბართლომე ბიბილური; თიონეთის მაზრის, სოფლის გოლეცარის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ გოგოლაძე; თიონეთის მაზრის, ახმეტის სოფლის ეკლესიის, ნღვდელი ბასილ როსტომოვი; გორის მაზრის, სურამის დაბის ეკლესიის მღვდელი იოანე ზებიევი; ახალციხის მაზრის, სოფლის ერკოთის ეკლესიისა მღვდელი სიმონ ზედგენიძე; თელავის მაზრის, ურათ-უბნის ეკლესიის მღვდელი ირიდონ ჩეხუროვი; გორის მაზრის, სოფლის ხოვლის ეკლესიის მღვდერი გრიგორი კავსაძე; ქალაქ თფილისს ფერიცვალების მონასტრის შესამოსლების გამგეს მღვდელმონაზონი შიო; თბილისის მაზრის, ნორიოს სოფლის ეკლესიის მღვდელი სამსონ ჩილაიევი; გორის მაზრის, სოფლის ეკლესიის მღვდელი ნიკოლოზ სამხარაძე; გორის მაზრის, სოფლის ატეიის ეკლესიის მღვდელი გიორგი ამშრიევი; გორის მაზრის, სოფლის პატარა მეჯრუხევის ეკლესიის მღვდელი გიორგი ხასუტოვი; ქ. თბილისის ივერიის ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი სოლომონ ელიოზოვი; ვლადიკავკაზის ოლქის, სოფლის დარღოკის ეკლესიის მღვდელი მიხაილ ხეთაგუროვი; დერბენტის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდელი ალექსანდრე ობოლენსკი; იმერეთის ეპარხიის: წინამძღვარი გაენათის პირველი კლასის მონასტრისა, არხიმანდრიტი სერაფიონი; წინამძღვარი ჭელიშის ღვთის-მშობლის მეორე კლასის მონასტრისა, არხიმანდრიტი მაკარი; წინამძღვარი საიმის მეოთხე კლასის მონასტრის იგუმენი იონა; ქუთაისის მაზრის, დაბა ხონის ეკკესიის მვდელი ბესარიონ ჩხენკელი; აპხაზეთის ეპარქიის: ოქუმის დაბის ეკლესიის მღვდელი იოანე ჩხენკელი; იმერეთის-ეპარქიის: სენაკის მაზრის, მარტვილის სოფლის ეკლესიის მღვდელი ზოსიმე ჟორდანია და ე) იღუმენის ხარისხით: ქ. თბილისის, ექსარხოსის ჯვარის ეკლესიის მღვდელ მონაზონი გედეონი.

## განჩინება უწმიდესი სინოდისა 5—18 სექტემბრამდის 1884 წლისა, № 1801, უმაღლესად დამტკიცებულს წესდებულებებზედ და შტატებზედ სასულიერო სემინარიათა და სასწავლებელთა.

(გაგრძელება).

მოსწავლეების მიღებაზე სემინარიაში.

§ 109. Სემინარიაში მიიღებიან, § 6-მებრ, როგორც სასწავლო დაწესებულებებში ნასწავლნი, აგრეთვე ოჯახური განათლების მიმღებნიც.

§ 110. Თხოვნები მიღებაზე შემოიტანებიან რექტორის სახელზედ.

§ 111. Თხოვნებთან წარმოსდგინდებიან: მოწმობა წარმატებაზე და ყოფა-ქცევაზე, თუ სემინარიაში სწავლის მსურველნი, იმყოფებოდენ სასწავლებლებში, ან სამეტრიკო მოწმობა (თუ იგი არ აქვსთ ამოწერილობა სამეტრიკო წიგნებისგან), თუ შემოდიან ოჯახებიდგან.

§ 112. Შემომავალი მოწაფეები წინ და წინ გაისინჯებიან სემინარიის ექიმისაგან, რომელიც წერილით მოახსენებს სამმართველოს, განსინჯულებიდგან ვინ და რატომ არ შეიძლება მიღებულ იქმნას.

§ 113. Მიღება ნება დართულია როგორც სემინარიის პირველ კლასში, აგრეთვე შემდეგებშიაც, გარდა მეექვსისა.

§ 114. Პირველ კლასში შედიან ხნით 14—18 წლამდის საფუძვლიანად მცოდნეთ სასულიერო სასწავლებლების კურსის საგნების; შემდეგს სამ კლასში შესასვლელად ითხოვება მათი შესაფერი სწავლა და წლოვანება.

§ 115. Შესასწავლად საკუთრად ღვთის-მეტყველებითი საგნებისა მეხუთე და მეექვსე კლასებში, შეუძლიათ მიღებულ იქმნან სემინარიაში კურს შესრულებულები რომელიმე სასშუალო სასწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელში, არა უჭაბუკეს 18 წლისა, გამოცდის შემდეგ იმ ღვთის-მეტყველებითს საგნებში, რომლებიც იმათ არ გაუვლიათ საერო სასწავლებლებში.

§ 116. სასულიერო სასწავლებლის კურს შესრულებული მოსწავლეები მიიღებიან სემინარიაში დადგენილ მოწმობათა მებრ, რომელშიაც ინიშნება მათი შესვლის უფლება სემინარიაში.

§ 117. მისაღები ეგზამენები ხუებიან ყოველ წლობით სასწავლო კურსის დაწყების წინ.

§ 118. მისაღებ ეზებენებზე მიმღებნი § 130-მებრ უმაღლესი ბალლებისა 3-დის თანაჩართვით (**включительно**) თითოეულ საგანში მიიღებიან სემინარიაში თითოეული კლასისთვის დადგენილი რიცხვით, მიღებული ბალლების რიგისა მებრ. თუ ვინიცობაა ბალლები თანასწორი გამოვიდენ და ვაკანსიები აღარ გახვდათ, მაშინ სასამართლო წარუდგენს ამას ეპარქიის ყოვლად სამღვდლოს განსახილველად

### თავი X.—სწავლებაზე სემინარიაში.

§ 119. სემინარიის სწავლების მიზანია, გამოიყვანოს განათლებული მღვდლები.

§ 120. ამ მიზნის თანახმად სემინარიებში ასწავლიან როგორც ღვთის-მეტყველობითი საგნებს, აგრეთვე საზოგადო განათლებისაც, სახელდობრ:

1) განმარტებას ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წერილისა და დაბადებითს ისტორიას.

2) ისტორიას ეკკლესიისა საზოგადოდ და რუსეთისას ცალკე.

3) ისტორიას და გამტყუნებას რუსეთის რასკოლისა.

4) ღვთის მეტყველებას: დასაბამითს (**основное**). დოგმატიურს, შედარებითს და ზნეობითს.

5) პრაქტიკულს სამწყემსო სახელმძღვანელოს.

6) ჰომილეტიკას.

7) ლიტურგიკას.

8) რუსულ მჭევრ-სიტყვაობას.

9) სამოქალაქო ისტორიას: საყოველთაოს და რუსულს.

10) ალგებრას, გეომეტრიას და პასხალიის ზედნადებთა (**основанія**).

11) ფიზიკას.

12) ლოღიკას, ფსიხოლოგიას, დაწყებითს საფუძველთა და მოკლე ისტორიას ფილოსოფიისას და დიდაქტიკას.

13) ძველ ენებს: ლათინურს და ბერძნულს.

14) საეკკლესიო გალობას.

15) შენიშვნა. პრაქტიკულ მეცადინეობათათვის V და VI კლასების მოსწავლეთა, რომელნიც სწავლობენ დიდაქტიკას, წესდება სემინარიასთან დაწყებითი სკოლა ყოველ დღიური გაკვეთილებით, დიდაქტიკის მასწავლებლის ხელმძღვანელობის და რექტორის ზედამხედველობის ქვეშ.

121. გარდა ამისა სემინარიაში ასწავლიან მსურველთ: ახალ ენებს: ფრანსიულს და ნემეცურს, ებრაულს ენას და ხატების ხატვას.

§ 122. სემინარიის პირველი სამი კლასიდგან არც ერთში არ უნდა იყოს 50 მოსწავლეებზე მეტი, ხოლო დანარჩენებში უნდა იყოს არა უმეტეს 55 კაცთა თითოეულს კლასში. თუ რომელიმე კლასში § 8-მებრ ითხოვება უმეტესი რიცხვი მოსწავლეთა, ესრეთ შემთხვევაში წესდება უწმიდესი სინოდისგან კლასის პარალელური განყოფილება.

§ 123 გაკვეთილთა რიცხვი თითოეული სასწავლო დღისთვის განსაზღვრულია წესდებულებაზე თანდართულს № 1 ქვეშ სქემაში (**таблица**), რომელშიაც ცვლილებანი შეიძლება მოხდენილ იქმნენ მხოლოდ უწმიდესი სინოდის მიერ დანახვისა მებრ განსაკუთრებითი საჭიროებისა.

§ 125. სწავლების წესი (**методъ**) უნდა შეელოდეს ბუნებით ნიჭიერებათა გახსნას და იწვევდეს საკუთარს მოქმედებას გონებითი ძალებისას მოსწავლეთა.

§ 126. საკლასო სწავლებასთან უნდა შეერთებული იყოს ვარჯიში მოსწავლეთა, შეძლებისადაგვარ ხშირად, თხზულებებში, რომელთაც ყოველთვის თან უნდა ახლდეს დაწვლილებითი გარჩევა მასწავლებლების მხრით.

§ 127. არა ნაკლებ ამისა განმხნობილ უნდა სასარგებლო წიგნების კითხვა მოსწავლეთგან სახელმძღვანელობით მასწავლებელთა, თითოეულის იმ საგნის შესახებ, რომელსაც ის ასწავლის.

§ 128. სწავლა სემინარიებში გაგრძელდება მრთელი წლის განმავალობაში, გარდა კვირა, სადღესასწაულო და უქმე დღეებისა, და აგრეთვე გარდა ადგილობრივ უმეტესად თაყვან-საცემ დღესასწაულთა, მარხულობის საზიარებლად მომზადების დღეთა, მიცვალებულთა მოხსენების დღისა ხორციელ კვირაში და ვაკაციათა: ზამთრის 22 დეკემბრიდგან; 7 იანვრამდის და ზაფხულის, რომელიც გრძელდება თუ ნახევარს.

შენიშვნა. დრო ზაფხულის ვაკანციისათვის ინიშნება უწმიდესი სინოდის ნებართვით, ადგილ-მდებარეობის პირობითა მიხედულობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 129. სასწავლო წლის ბოლოს, ზაფხულის ვაკაციის წინ, სემინარიებში სწარმოებენ ეგზამენები.

§ 130. წარმატებათა დასანიშნავად, როგორც სწავლისა, აგრეთვე მოსწავლეთა ყოფაქცევისაცა, იხმარებიან შემდეგი ბალები: 5—ჩინებულად, 4—ძლიერ კარგად, 3—კარგად, 2—საშვალოდ, 1—სუსტად.

§ 131. ეგზამენები სწარმოებენ კომისიების საშუალებით, თავმჯდომარეობით რექტორისა, ან ინსპეკტორისა ან სამმართველოს წევრის მასწავლებელთაგან. წესდებიან, ამისათვის, აგრეთვე მოსწავლეთა რიგრიგად დასაყოფად მათ მათ წარმატებათა და ყოფაქცევის შესაფერ, განმარტებულ არიან განსაკუთრებულს ინსტრუქციაში, რომელსაც ადგენს სემინარიის სამმართველო და ამტკიცებს ეპარქიის არქიერი.

§ 132. წარჩინებულნი წარმატებაებით, საქებარი ყოფაქცევით საჩუქრდებიან სასარგებლო წიგნებით, რომლებიც ირჩევიან დასასაჩუქრებელთა წლოვანების და ცოდნათა მიხედვით.

§ 133. პირველი სამი კლასის მოსწავლეები, რომელთაც სუსტი წარმატებანი გამოიჩინეს, თუ გამოსარიცხავად არ იქმნენ ცნობილნი, შეუძლიათ დარჩნენ იმავე კლასებში მხოლოდ ერთი წლით; სხვა კლასებში ეს შეიძლება მოხდეს ფრიად იშვიათ შემთხვევებში, როდესაც სწავლის სისუსტე წარმოსდგებოდა ხანგრძლივი ავათმყოფობისაგან ან სრულიად პატივსადები მიზეზისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში სუსტი წარმატებისანი, ირიცხებიან სემინარიიდგან.

შენიშვნა. სახელმწიფო ხარჯზე მყოფნი. დატევებულნი იმავე კლასებში, ჰკარგვენ სახელმწიფო ხარჯს, გარდა სუსტად მოსწავლეთა ხანგრძლივთ ავადმყოფობის მიზეზით.

§ 134. თითოეულ სემინარიაში დაწესებულია წიგნთ-საცავი საკმაო რიცხვით გეოგრაფიულ რუკათა, მათემათიკურ და ფიზიკურ იარაღთა და სხვა სასწავლო ნივთთა.

შენიშვნა. მათემამატიკური და ფიზიკური იარაღები არიან მასწავლებელთა გამგეობაში, რომელნიც ასწავლიან ესრეთ საგნებს.

§ 135. წიგნთ-საცავს უნდა შეადგენდენ, გარდა სასწავლო წიგნთა მოსწავლეთათვის და მოსახმარებელთა (спомогательной) მასწავლებელთათვის, არჩეული წიგნები მოსწავლეთა საკითხავად, როგორც სამშობლო, აგრეთვე უცხო ენებზედაც.

§ 136. დამოუკიდებლად ამისა ნებადართულია მოსწავლეთა კეთილ-ნებობითი შემოწირულებაებებით დააფუძნონ სამოსწავლო წიგნთ საცავები საფუძველთა ზედა, რომელთაც ადგენს სემინარიის სამმართველო და ამტკიცებს ეპარქიის არქიერი.

თავი XI. სემინარიაში ზნეობით და ფიზიკურ აღზრდაზე.

§ 137. ზნეობით აღზრდას სემინარიაში მიზნად აქვს განვითარება მოსწავლეთა ხასიათის, მათი მომავალი დანიშნულების შესაფერ.

§ 138. ამ მიზნის მიღწევას უნდა ეწეოდენ როგორც აღმზრდელნი სემინარიაში, აგრეთვე მასწავლებელნიც.

§ 139. ერთნიც და მეორენიც, თავიანთ მოვალეობათა წრიდგან გამოუსვლელად, ზრუნავენ მაზედ, რომ მოსწავლეებში გახსნან და გააძლიერონ სიყვარული და პატივისცემა მართლ-მადიდებელი ეკკლესიისადმი, მის წესდებულებათა, მღვდელმოქმედებათა და წესთადმი, განამტკიცონ ისინი კეთილ ქრისტიანულ ჩვეულებაებში და მიიყვანონ ცხოველ შეგნებამდის მღვდლობის სიმძიმისა.

§ 140. ვარჯიშობანი, რომელნიც იწვევენ კაცს კეთილ-მსახურებისადმი, უნდა წმიდა დაცულ და შენახულ იქმნენ სემინარიაში.

§ 141. ყოველ დღეს, დანიშნულ საათებში, მოსწავლენი ისმენენ დილის და საღამოის ლოცვებს, დასაწყისს და შემდეგ თითოეული გაკვეთილისა, აგრეთვე სასადილო ოთახშიც. ლოცვებს კითხულობენ თვითონ მოსწავლენი.

§ 142. კვირა-უქმე დღეებს ყველა მოსწავლეები გამოუშველად ესრებიან საღამოს, ან დილის ლოცვას და ლიტურგიას.

§ 143. ღვთის-მსახურების დროს მოსწავლეები მონაწილეობენ კითხვაში და საეკკლესიო გალობაში და ასრულებენ მსახურებით მოვალეობათა საკურთხეველში.

§ 144. ინახვენ მტკიცედ მართლ-მადიდებელი ეკკლესიიდგან დადგანილს მარხვებს, ყველა მოსწავლეები დიდ-მარხვის პირველ და უკანასკნელ კვირაში მარხულობენ და ეზიარებიან წმ. საიდუმლოთა. ხელის უფროსნი (начальствующіе) და მასწავლებელნი იძლევიან ამ ხრით დამწყესველობითს (назидательный) მაგალითს.

§ 145. სხვა დროს ხმარებაში მოსწავლენი განუდრეკლად მისდევენ წესდებათა, რომელთაც ადგენს სემინარიის სამმართველო (§ 103 მუხ. 19) და რომელნიც საზღვრავენ სემინარიაში მათი ცხოვრების წესს.

§ 146. მოსწავლეთ უნდა ასწავლიდენ დაცვას ზრდილობის წესთა და საზოგადოდ მიღებული თავაზიანობის პირობათა; უზდელი, მქისე, შესაწუხებელი ხუმრობანი და მსგავსნი ქცევანი არ უნდა დაშვებულიყვნენ.

§ 147. მოსწავლეთა გასწორების ზომები ირჩევიან სემინარიის სამმართველოსაგან (§ 103 მუხ. 20) ფიცხელი გამრჩეველობით მათი გვარისა და თვისების შესახებ, და უნდა იყვნენ ყოველთვის შეთანხმებული გასასწორებელთ წლოვანებასთან, პირველ-დაწყებით აღზრდასთან და ხასიათთან.

§ 148. უმაღლეს სასჯელს სემინარიაში შეადგენს გამორიცხვა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე და არა მოსათმენი დანაშაულობების დროს, უნდა ხდებოდეს დაუყოვნებლივ და სასწავლო წლის ყოველს დროს.

§ 149. მეცადინეობანი მუზიკით, ხატვით და სხვა მსგავსი ვარჯიშობით, რომლებიც ხსნიან ესტეტიურს გემოს და თავიდამ აშორებენ ცუდოობას და წინ-დაუხედავ კმაყოფილებათა, უნდა იყვნენ არა მარტო ნებადართულნი, არამედ წახალისებულნიც, იმ პირობით, რომ ისინი ყოველთვის ფიცხლად ზნეობითნი იყვნენ.

§ 150. მოსწავლეთა სხეულის ძალების ჯეროვანი გახსნისთვის და გამაგრებისთვის თითოეულ სემინარიაში ინიშნებიან, განსაკუთრებული მასწავლებლის ხელმძღვანელობისა და ექიმის ზედამხედველობის ქვეშ გიმნასტიური ვარჯიშობანი, და აგრეთვე საბაღოსნო ვარჯიშობანი და თამაშობანი, რომელნიც ეწევიან ძალათა გახსნას.

§ 151. ჩამომარტებული წესდებანი, რომელნიც აღზრდას ეხებიან, ერთნაირადვე ეკუთვნიან მოსიარულე მოსწავლეთაც.

### თავი XII—სემინარიის მოსწავლეთა ბინაზე და შენახვაზე.

§ 152. სემინარიის მოსწავლეთ ეძლევათ საცხოვრებელი ბინა ან თვით სემინარიაში, თანახმად წესდებულების § 12, ან მშობლებთან და ნათესავებთან, ან ნაქირავებ სადგომებში.

§ 153. სახელმწიფო ხარჯზე მყოფნი, სემინარიაში ცხოვრების დროს, სარგებლობენ მისგან სრული ან ნახევარი ხარჯით. თავის ხარჯზე მყოფნი იღებიან სრულ პანსიონერებათ, ან ნახევარ პანსიონრებათ, რომლებიც არ იღებენ სრული ხარჯიდგან მხოლოდ ტანისამოსს.

§ 154. გადასახადი სრული პანსიონერებისთვის, აგრეთვე მათთათვისაც, რომლებიც სარგებლობენ სემინარიისგან მხოლოდ ბინით და სასმელსაჭმელით, ისაზღვრება, სემინარიის სამმართველოს წარდგინებისა მებრ, ეპარქიის არქიერის მიერ, თითოეული ადგილისთვის ცალკე, შესაფერ ხარჯებისა პირველათ მეორე გვარი შენახვისათვის.

§ 155. გადასახადი შეიტანების წლის მესამედმესამედობით, პირველი სამესამედო თვის პირველი ნახევრის განმავალობაში; დამარღვეველნი ამ მოთხოვნილებისა, აღნიშნული ვადის შემდეგ, ითხოვებიან სემინარიის საზოგადო ბინებიდგან და ამასთანავე მათ ხდებათ ანგარიშისა მებრ მხვედრი ფული გარდაუხდელი დროისთვის.

შენიშვნა. მოსწავლისთვის, რომელიც სემინარიის საზოგადო ბინაში წლის მესამედის დასაწყისს არ არიან შემოსულნი, გადასახადი იღება დროს ანგარიშისამებრ იმ თვის პირველი რიცხვიდგან, რომელშიაც შემოვიდა ბოვში.

§ 156. თუ ვინიცობაა გავიდა მოსწავლე საზოგადო ბინიდგან წლის მესამედის გასვლამდი, მისთვის მიღებული ფულები არ ბრუნდებიან.

§ 157. საკლასე ოთახები და, მათგან ცალკე, საწოლი ოთახები დამტევნელობით უნდა უდრიდენ მათში დანიშნულ მოსწავლეთ რიცხვს.

§ 158. საავადმყოფოები იმართებიან სემინარიის იმავე შენობებში, მაგრამ, შეძლებისადაგვარ, ცალკე მოსწავლეების საცხოვრებელი ბინებიდგან, და ინახებიან შესაფერ მათი დანიშნულებისა.

§ 159. ყველა სამოსწავლო ბინებს სემინარიებში რაც შეიძლება ხშირად უნდა უცვლიდენ ჰაერს, ჯეროვნად ათბობდენ და ანათებდენ.

§ 160. სიწმინდე და სისუფთავე სამოსწავლო ბინების შენახვაში და აგრეთვე ყველა ნივთთა, რომლებიც სახმარ არიან მოსწავლეთათვის უნდა დაცულ იყოს სრული სიმკაცრით.